# „ვიწვი, რათა გაგინათოთ...“



ლერი ლაფანაშვილი

დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენს დედაქალაქში დაიდო ბინა ქართულ-შვეიცარიულმა კლინიკამ სახელწოდებით „კარდიო-სტილი“, რომლის დევიზიც გახლავთ – „ჯანმრთელი გული–ლამაზ ორგანიზმში“!

აი, ამისთვის ზრუნავს სენსაციური აპარატი „კარდიოლა“, რომლის შექმნის იდეა (Aliss inserviend consumor) აქ, საქართველოში დაიბადა, მერე იგი საკმაოდ ხანგრძლივ ემიგრაციაში იყო, ევოლუცია განიცადა და დაგვიბრუნდა აწ უკვე ხორცშესხმული სახით.

გთავაზობთ ჩვენი კორესპონდენტის დარეჯან კაციტაძის საუბარს კლინიკა „კარდიო-სტილის“ დირექტორთან, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორთან ბატონ **ლერი ლაფანაშვილთან**.

**– ბატონო ლერი, თქვენი მაგალითი ყველასათვის მისაბაძია. თქვენ ხომ შეგეძლოთ ნებისმიერ ქვეყანაში გეცხოვრათ უზრუნველად, მაგრამ მაინც დაბრუნდით სამშობლოში და მას ემსახურებით... ეს თქვენს გულმხურვალე მამულიშვილობასა და პატრიოტობაზე მეტყველებს.**

– დიდი მადლობა ჩემი პოზიციის ასეთი მაღალი შეფასებისათვის. მე ძალიან კმაყოფილი ვარ ამ გადაწყვეტილებით და ვამაყობ კიდეც, რომ ჩემი ხალხის გვერდით ვარ და არა მარტო მის გულს ვმკურნალობ. მე ჰოროსკოპით მერწყული ვარ. ეს იმას ნიშნავს, რომ დაბადებიდანვე ჩაიდო ჩემში სიკეთის ქმნის მოთხოვნილება, სხვათა კეთილდღეობისათვის ზრუნვა.

სამშობლოს ნოსტალგიამ თავისი გაიტანა და ჩამოვედი, რადგან აქაური გარემო ჩემთვის მშობლიური და უფრო გასაგებია.

ამასთან მე ექიმი ვარ, ოდითგანვე ექიმებს შორის საურთიერთობო ენად ლათინურია მიღებული და მსოფლიოს ყველა ექიმისთვის ჰიმნივით ჟღერს სენტენცია: „Aliis cnserviend consumoz“, რომელიც ქართულად თავგანწირულად ჟღერს: „ვიწვი, რომ გაგინათოთ“...

**– არ მიკვირს, რომ თქვენს კლინიკაში ასე უხვადაა წარმოდგენილი დონ-კიხოტის თემა – ფერწერული ტილოებისა და მინიატურული ბიუსტების სახით.**

– დონ კიხოტი ჩემი საყვარელი გმირია-მეთქი, რომ ვთქვა, საკმარისი არ იქნება. ვგრძნობ, რომ მნიშვნელოვანი „დოზით“ იგი ჩემშია, მუდამ და მარად შეუცნობელ რაინდად დარჩება. არ შემიძლია არ გითხრათ, რომ ძალიან მომწონს ბატონ რეზო ჩხეიძის მიერ გადაღებული ფილმი, რომელშიც ბატონი კახი კავსაძე სწორუპოვარი დონ-კიხოტია. ვიცი ისიც, რომ, როდესაც მე საქართველოში არ ვიყავი, მწუხარე სახის რაინდი თეატრში ბატონ ოთარ მეღვინეთუხუცესს არაჩვეულებრივად განუსახიერებია.

ჩემს ცხოვრებაში ჩემთვის ნამდვილი დონ-კიხოტი იყო ჩემი მეუღლის ბიძა, დიდი მხატვარი და უბრწყინვალესი ადამიანი ფარნა ლაპიაშვილი, რომლის ნახატი „დონ-კიხოტი“ ჩემს კოლექციას ამშვენებს.

**– ყოველივე ეს საინტერესოა, მაგრამ, მოდით ვისაუბროთ თქვენს „კარდიოლაზე“, რომელიც საოცარ მაცოცხლებელ ენერგიას აწვდის ჩემს გულს და მთელს ორგანიზმს. ამას თვალნათლივ ვგრძნობ და თქვენი პაციენტების სახელით მსურს მადლობა გადაგიხადოთ ამ შესანიშნავი აპარატის შექმნისათვის.**

– გულ-სისხლძარღვთა სისტემის პათოლოგიათა შორის გულის ქრონიკული უკმარისობა სტატისტიკის მიხედვით პირველ ადგილზეა. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში დავინტერესდი გულის მკურნალობის ინვაზიური მეთოდით, რომელიც გულის გადანერგვის ალტერნატივაა. ამ მეთოდის პრინციპს წარმოადგენს ზურგის კუნთიდან გულის პარკუჭისათვის დამატებითი კედლის შექმნა და გულის სისტოლური ფუნქციის აღდგენა. ეს იყო ჩემი სადისერტაციო ნაშრომი, რომელმაც რომში საერთაშორისო პრემია დაიმსახურა 1991 წელს. სამწუხაროდ, ეს მოხდა უჩემოდ, რადგან მე იქ არ გამიშვეს...

ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა მდგომარეობდა იმაში, რომ უნდა შექმნილიყო ელექტროსტიმულატორი, რომელიც მოახდენდა გულის და ზურგის კუნთის სინქრონულ მუშაობას, ვინაიდან ზურგის კუნთი იღლება, გულის კუნთი კი მუშაობს და მუშაობს.

დაძაბული შრომის შედეგად მოიძებნა ამ კუნთის დაუღალავად მუშაობის 24-საათიანი რეჟიმი.

ამის შემდეგ დავინტერესდი არაინვაზიური მეთოდით და გულის ქირურგიული ბიომექანიკური ხელისშეწყობის მეთოდთან ერთად წარმოიშვა არაქირურგიული კუნთოვანი კონტრპულსაცია, როგორც დამოუკიდებელი დისციპლინა.

ექსპერიმენტების შედეგად დაგროვილი ჩემი ცოდნითა და გამოცდილებით დაინტერესდნენ შვეიცარიელი ინვესტორები, რომელთაც მომიწვიეს შვეიცარიაში 2000 წელს და ხელი შემიწყვეს ჩამეტარებინა ყოველმხრივი სამეცნიერო კვლევები და დამეხვეწა არსებული აპარატი.

ამ მეთოდის უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ პაციენტის გული თავად მართავს აპარატს. კუნთი იტვირთება, გული კი არა. კუნთი იკუმშება მაშინ, როდესაც გული თავისუფლად არის და – პირიქით. აი, ამ პრინციპის საფუძველზე შეიქმნა ხელსაწყო „კარდიოლა“, რომელიც ავტომატურად არეგულირებს სტიმულაციას გულის რიტმის მიხედვით, რაც იწვევს პაციენტის ორგანიზმში სისხლის მიმოქცევის რეგულირებას.

**– თქვენ აღნიშნეთ, რომ იგი კურნავს არა მარტო გულსო. იქნებ ჯერ კიდევ შეუცნობელია მისი სრული შესაძლებლობანი?**

– ჯერჯერობით, გარდა იმისა, რომ იგი მკურნალობს გულის უკმარისობას, კარდიომიოპათიას, გულის იშემიურ, ჰიპერტონიულ დაავადებებს, სარქველების პათოლოგიას, ამ მეთოდს იყენებენ: ანგიოლოგიაში, ლიმფოვენური უკმარისობის, ათეროსკლეროზული და დიაბეტური ანგიოპათიების დროს, რეინოს დაავადებისას; ნევროლოგიაში – ოსტეოქონდროზის და რადიკულიტის, გინეკოლოგიაში ქრონიკული ანთებების, შარდის შეუკავებლობის დროს. ვინაიდან ვაგინა იგივე კუნთოვანი ორგანოა, შესაძლებელია ამ მეთოდით მისი ტონუსის გაძლიერება, რაც იგივე ვაგინოპლასტიკაა. საოცარი შედეგები მიიღწევა ფრიგიდულობისა და ანორგაზმიის დროს, ხოლო ესთეტიკურ მედიცინაში – სხეულის კორექციისათვის.

ეს მეთოდი არაჩვეულებრივ შედეგს იძლევა ყველა სახეობის სპორტში, ვინაიდან ზრდის მთელი ორგანიზმის ძალას და გამძლეობას, რომელიც დამოკიდებულია როგორც გულის, ისე კუნთების მდგომარეობაზე. იგი თამამად შეიძლება ჩაითვალოს „დოპინგად“, ცხადია, ასეთი პრეპარატის მიღების გარეშე.

ყოველივე ამის მისაღწევად ხუთ ქვეყანაში (რუსეთი, უკრაინა, გერმანია, შვეიცარია, საქართველო) ჩატარდა 32 კვლევა, რაშიც ჩართული იყო 14 კვლევითი ინსტიტუტი.

ამ პერიოდში დაიხვეწა და ევროპული სერტიფიკატი მიიღო „კარდიოლას“ ჯერ მესამე, მერე მეოთხე თაობამ. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა „კარდიოლას“ მე-5 თაობაზე, რომელიც იქნება პაციენტისთვის განკუთვნილი ინდივიდუალური აპარატი.

... ამბობენ „კვიცი გვარზე ხტისო...“ და, როგორც შევიტყვეთ, ბატონი ლერის მცირეწლოვან ვაჟს ასეთი რამ



უნატრია შვეიცარიაში: როდის გავიზრდები, რომ ქართველ ბავშვებს დავეხმარო და მათაც ისევე ჰქონდეთ ყველაფერი, როგორც აქვთ აქაურ ბავშვებსო.

ეს იმაზე მიანიშნებს, რომ მომავალი საიმედო გვაქვს – გვეზრდებიან გონიერი და გრძნობიერი, გულანთებული ახალგაზრდა მამულიშვილები.

***

ჩვენი საუბარი ბატონ ლერისთან, რომელიც ძლივს შედგა „კარდიოლას“ პაციენტების სიუხვის გამო, აქ შეწყდა.

„კარდიოლას“ ავტორს ელოდნენ ახალი პაციენტები. მათ შორის ისეთებიც, რომელთაც მიაჩნიათ, რომ ასეთი მკურნალობა მათთვის ფუფუნებაა, მაგრამ ბატონი ლერი არავის უშვებს გულნაკლულს.

ვტოვებ კლინიკას და კიდევ დიდხანს მამხნევებს იქაური კლასიკური მუსიკის ჰანგები, „კარდიოლას“ მიერ მონიჭებული ენერგია და მწუხარე რაინდის „დონ-კიხოტის“ მზერა.

დარეჯან კაციტაძე
ჩვენი სპეც-კორესპონდენტი